ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3957615

ნომერი: AR1599561

თარიღი : 08.05.2018

გაცემის თარიღი : 15.05.2018

გაცნობის თარიღი : 15.05.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა, N 45გ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი გელაშვილი პ/ნ 11001005641
- კოსტავას ქუჩა

ორგანიზაცია:
- შპს სასტუმრო ევროპა კოდი: 205231202

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქ. N45გ-ში არსებულ მშენებარე ობიექტის ფასადზე სარეკლამო აბრების განთავსების საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2016 წლის 12 აგვისტოს N2775139 ბრძანებით ქ. თბილისში, ვერის შესახვევი N3-ში შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქ. პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ფოტომონტაჟით გათვალისწინებული სარეკლამო აბრის განთავსება ხდება იმ ფასადზე, რომლის ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება შეთანხმებულ პროექტი ასახულს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სარეკლამო აბრა ეწყობა სანებართვო პირობების დარღვევით შესრულებულ შენობის ფასადზე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქ. N45გ-ში არსებულ მშენებარე ობიექტის ფასადზე სარეკლამო აბრების განთავსების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.